პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 88 (20734) — შაბათი, 14 აპრილი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის კურსით

გულახდილი საუბარი კომკავშირელთა დელეგატებთან

10 აპრილს საკავშირო ალკკ XXI ყრილობის დელეგატთა წინაშე გამოსვლის შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა უპასუხა მრავალ შეკითხვას.

კითხვა. მბრძანებელთა-ადმინისტრაციული სისტემა ცდილობს მშრომელებს თავს მოახვიოს აზრი, თითქოს უსაფუძვლო იყოს გარდაქმნის პოლიტიკა, კურსი, რომელიც გორბაჩოვმა დაიწყო. საბჭოების არჩევნების დროს ახალგაზრდობა პირველად შეეცადა დაესახელებინა თავისი წარმომადგენლები, რის გამოც ექსტრემისტები გვიწოდეს. როგორ გგონიათ, რა უნდა კუთხეთ ასეთ პარტიულ ხელმძღვანელებს? ნებისმიერი პარტია, რომელიც თავიდან იშორებს ახალგაზრდობას, ხომ გარდაუვალი დაღუპვისთვის არის განწირული.

პასუხი. გარდაქმნის პოლიტიკა და პრაქტიკა აწყდება კრიტიკას როგორც მემარჯვენე, კონსერვატიული, ისე ულტრამემარცხენე პოზიციებიდან. მაგრამ, ამის შემხედვარე, მე არ დავიწყებდი ახლა ჩვენი საზოგადოების დაყოფას მოპირისპირე ძალებად და მიმდინარეობებად. ორივე მხრიდან მოდის სასარგებლო იმპულსებიც და კრიტიკული შენიშვნებიც. ისინი გვაიძულებენ კარგად მოვიფიქროთ ჩვენი პოლიტიკა, გავიაზროთ მუშაობის გამოცდილება. მუშავეთ აყენებენ ცალკეულ მიმართულებებზე შეცდომებისა და თვით ჩავარდნების საკითხს, სწორად იმისთვის დაგვჭირდა დემოკრატიული ატმოსფერო და საჯაროობა, რომ ხალხიც ჩაბმულიყო მართვა-გამგეობაში, და ამა თუ იმ საზოგადოებრივი მიმდინარეობის წარმომადგენელ საზოგადოებრივ წრეებს ჰქონოდათ შესაძლებლობა გამოეთქვათ თავიანთი დამოკიდებულება გარდაქმნის პოლიტიკისა და მისი რეალიზაციისათვის მუშაობის თაობაზე. ამ თვალსაზრისით ვუყურებ მთელ ამ პროცესს, როგორც ბუნებრივსა და ნორმალურს.

სხვა საქმეა, რომ გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს, როგორც მარჯვნიდან, ისე მარცხნიდან, სწადიათ ისარგებლონ ამ პროცესით. ვინც უნდა იყოს — პარტიული თუ საბჭოთა აპარატის, რაღაც საზოგადოებრივი წრეების წარმომადგენელი, — თუ იგი გარდაქმნის უტევს, ვფიქრობ, ჩვენ მტაცებად უნდა ვებრძოლოთ ამას.

მე იმის მოშმრე ვარ, რომ გარდაქმნა მიმდინარეობდეს დემოკრატიული ფორმებით, ხალხის კონტროლით, რათა შესაძლებელი იყოს ვიმსჯელოთ ყველა საკითხზე, შევიტანოთ კორექტივები პოლიტიკასა და პრაქტიკულ საქმიანობაში. ყველამ, ვისაც ქვეყნის სვე-ბედი, მისი განახლება აფიქრებს, უნდა იცოდეს, რომ ჩვენ მზად ვართ მოვუსმინოთ მათ, გავითვალისწინოთ მართი აზრი პრაქტიკულ საქმეებში. პარტიას არა აქვს მონოპოლიური მდგომარეობის პრეტენზია, ჩვენ საჭიროდ ვცანით არა მარტო აზრთა პლურალიზმი, არამედ აგრეთვე პოლიტიკური პლურალიზმიც. მალე მივიღეთ კანონს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა გაერთიანებების შესახებ. რა თქმა უნდა, დემოკრატიული პროცესები დაცული უნდა გვქონდეს გარკვეული, ასე ვთქვათ, დამზღვევი მექანიზმებით, რომელთა შორის არის პრეზიდენტის მმართველობა და ბევრი სხვა რამ. ყველაფერი კანონის საფუძველზე უნდა ხდებოდეს.

ახლა, რაც შეეხებათ ხელმძღვანელებს, ექსტრემისტებს რომ უწოდებენ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც თავს დეპუტატობის კანდიდატად ასახელებენ. მე არც კი მჭირდება აქ რამეს დასამტკიცება. ვწუხვარ, თუ პარტიულ ხელმძღვანელთა შორის არიან ისეთნი, ვისაც ვერ შეუგნია პოლიტიკურ პროცესში ახალგაზრდობის ჩაბმის მნიშვნელობა, აბრკოლებს ამას. მე ვგმობ ასეთ პოზიციას.

კითხვა. როგორი იქნება, თქვენი აზრით, სკკპ XXVIII ყრილობის ძირითადი შედეგი, მრავალპარტიულობა, პარტიაში განხეთქილება? და კიდევ: ბევრი საკითხის გადაწყვეტა აყენებენ ცალკეულ მიმართულებებზე შეცდომებისა და თვით ჩავარდნების საკითხს, სწორად ისმითვის დაგვჭირდა დემოკრატიული ატმოსფერო და საჯაროობა, რომ ხალხიც ჩაბმულიყო მართვა-გამგეობაში. მუშავეთ აყენებენ ცალკეულ მიმართულებებზე შეცდომებისა და თვით ჩავარდნების საკითხს, სწორად ისმითვის დაგვჭირდა დემოკრატიული ატმოსფერო და საჯაროობა, რომ ხალხიც ჩაბმულიყო მართვა-გამგეობაში. ეს ბევრ საკითხს ეხება. ეს ეხება ეროვნულ საკითხებს, ეხება ეკონომიკურ ურთიერთობებს, ეხება ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ურთიერთობებს. ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულახდილი საუბარი კომკავშირელთა დელეგატებთან

(დასასრული)

სამწუხაროდ, ზოგან ეს თავიდან ვერ აიცილეს, და შედეგები სრულიად დასაბუთებულ შეშფოთებას იწვევს მთელ საბჭოთა კავშირში. ამიტომაც მოვიდა ცენტრი დასახმარებლად. ჩვენ რიდი შევეცდებით თავიდან ავიცილოთ პასუხისმგებლობა, კეთილნების მარაგი სამყოფად გვაქვს. მიგვაჩნია, რომ სომეხ-აზერბაიჯანელთა ურთიერთობა არ არის სამტროდ განწირული, იგი შეიძლება აღდგეს და ნორმალურად განვითარდეს. ორივე ერის უბრალო ადამიანებს ძალზე ბევრი რამ აქვთ ისეთი, რაც სასიკეთოდ დამკვიდრდა მათს ურთიერთობაში ათწლეულების მანძილზე, და სწორედ ამას უნდა ვეყრდნობოდეთ მტკივნეული საკითხების გადაწყვეტისას. ჩვენ კი მხარში ამოვუდგებით. იმ შემთხვევებში, როცა საჭიროა გაშველება, და როცა მართლაც უკვე ლამის ომია, — იძულებული ვიქნებით, მივიღოთ ზომები ადმინისტრაციული ორგანოების ხაზით. მერწმუნეთ, ჩვენ ამას დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდებით.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ, როდესაც ლიტვაში ყველასათვის ცნობილი საქმე წამოიწყეს, „საიუდისის“ ემისრებმა სომხეთისა და აზერბაიჯანის გარკვეულ წრეებს მიმართეს მოწოდებით: „გაალვიეთ კოცონი, რათა ცენტრის წინააღმდეგ ფრონტი შეიქმნასო“. ესეც გასთვალისწინებელია. ახლა უზენაეს საბჭოში მიღებულია კანონი იმათი საქმიანობის აღკვეთის შესახებ, ვინც აღვივებს ეროვნებათშორის მტრობას. იგი სრულად უნდა გამოვიყენოთ. ხოლო ადამიანებს საჭიროა დავეხმაროთ გაჩერდნენ, დაიწყონ დიალოგი ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით. „სომეხ და აზერბაიჯანელ ამხანაგებს შეუძლიათ დარწმუნებული ბრძანებებიდნენ, რომ მე, როგორც პრეზიდენტი, მთავრობა და ცენტრალური კომიტეტი, ყოველნაირად შეეწყობთ ხელს ამ საქმეს.

შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა წაიკითხა რამდენიმე ბარათი, რომლებშიც დასმულია კითხვები ერთა თვითგამორკვევის უფლებისა და ქვეყნის შიგნით სახელმწიფოს შეცვლის შესაძლებლობის შესახებ. ძვირფასო შეგობრებო, თქვა მან, ამ პრობლემაზე, ალბათ ყველაზე მეტი ვიფიქრე და ყველაზე მეტად ვეთანხმები რესპუბლიკების წარმომადგენლებს. ღრმად ვარ დარწმუნებული: ჩვენ არამც და არამც არ უნდა დავუშვათ, რომ საზღვრების გადაკეთებაში აღმოვჩნდეთ ჩათრეულნი. თუ ამ გზით მოვინდომებთ ეროვნულ ურთიერთობებში. დაგროვილი პრობლემების გადაჭრას, მთელი საბჭოთა კავშირის გადაკეთებადაგამოკეთება მოგვიწევს. ერთმანეთს შეეჯახებიან მთელი ხალხები და ერები, და ისეთი მდგომარეობა შეიქმნება, როგორიც არ უნახავს არათუ ჩვენს ქვეყანას, არამედ მთელ მსოფლიოსაც.

როგორია პრობლემების გადაჭრის გზა, როგორ ვუპასუხოთ კითხვებს, რომლებიც ადამიანებს აწუხებთ? საერთოა რეალური გავადოთ რესპუბლიკების სუვერენიტეტი. მივანდოთ ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ეხების, კულტურული ტრადიციებისა და სხვათა თავისუფალი განვითარების შესაძლებლობა. იგივე თქმის აკტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ეროვნული ოკრუგის, ყოველი ხალხის მიმართაც. ჩვენ ამ გზას დავადექით და, ვფიქრობ, იგი სწორია.

თქვენ გახსოვთ, სამ დღეს ვიყავი ლიტვაში. მაგრამ ქვეყნის ხელმძღვანელობის სახელით გამოთქმული რჩევა-დარიგება ჯერ-როგორ არ იღეს ყურად, და გამარჯვება სეპარატისტულმა პარტიამ მოიპოვა. ახლა წამოიჭრა კითხვა, რა ვქნათ? იქ რამდენიმე ასეული ათასი არალიტველი ცხოვრობს. ეს რა, ლტოლვილები არიან? შემდეგ — რაზან ლიტვის ხელისუფალნი საბჭოთა კავშირიდან გასვლას აცხადებენ, ბელორუსიაში საზოგადოებრივმა აზრმა რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს მოსთხოვა დაეყენებინა საკითხი, რომ ვაუქმდეს 1940 წელს მიღებული გადაწყვეტილება ბელორუსიის მიწების ნაწილის ლიტვისათვის გადაცემის შესახებ. წამოიჭრა კალაინედის საკითხი, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში შედიოდა გერმანიის შემადგენლობაში, ხოლო ომის შედეგების, იალტისა და პოტსდამის მიხედვით, საბჭოთა კავშირისა გახდა. ეს ხომ საზღვაო მიჯნებია, რომლებისკენაც რუსეთი საუკუნეთა მანძილზე მიიღტვოდა.

დღეს ლიტვიდან მოდის სიგნალები, რომ ვიღაც არ უგზავნის პროდუქციას, უარს ამბობს დაუდოს ხელშეკრულებები ლიტვის საწარმოებს, სამეცნიერო დაწესებულებებს. ცენტრი ცდილობს არ დაუშვას ურთიერთობის გაწყვეტა, რადგან ჩვენ ვხელმძღვანელობთ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მესამე ყრილობის მახდატთ, რომელმაც ბათილად ცნო ლიტვის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებანი. ლიტვა ქვეყნის შემადგენელ ნაწილად დარჩა და კონსტიტუციური წყობილება ამ რესპუბლიკაში უნდა დავიცვათ. აი, რატომ ეადგენებით თვალს მოწოდებებს. ლიტვაში ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ საკავშირო მთავრობა ზრუნავს მათთვის, და შეუძლიათ მშვიდად იმუშაონ. ამავე დროს, ვცდილობთ დავარწმუნოთ ადგილობრივი ხელისუფალნი, რომ აუცილებელია გაიუქმონ გადაწყვეტილებები, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, და აღდგინონ ათი მარტისათვის არსებული სიტუაცია.

მაგრამ სულ უფრო ძნელდება ნეგატიური პროცესების შეკავება. ადამიანები ამბობენ, რატომ უნდა გადაეცეთ შეკვეთები ლიტვას, თუ იგი საბჭოთა კავშირიდან გადის, რა გარანტიაა, რომ ეს შეკვეთები შესრულდებაო? დაიწყეს პაროალური წარმოებათა შექმნა — ჩვენში ხომ ყველაფერი ასეა აგებული: ვილნიუსს საწარმო დაკავშირებულია სხვა რესპუბლიკების რამდენიმე ასეულ საწარმოსთან, იქ მხოლოდ აწყობენ, მთელი ქვეყანა კი მაკომპლექტებელ ნაკეთობებს უგზავნის. ჰოდა, შეუდგნენ საამწყობო საამქროების შექმნას, მით უმეტეს ახლა, როდესაც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი მცირდება, გაჩნდა შესაბამისი შესაძლებლობანი. ასე უკავშირდება ერთი საკითხი მეორეს — ადამიანთა ურთიერთობა, ეკონომიკური კავშირი, ტერიტორიული პრობლემები. ჩვენ ხომ ათწლეულების მანძილზე ვვითარდებოდით შრომის დანაწილების საფუძველზე, კოოპერაციის დონე ჩვენში 40-50 პროცენტს შეადგენს, როგორ გინდა დაწყვიტო მთელი ეს კავშირები!

რა თქმა უნდა, არსებობს თვითგამორკვევის კონსტიტუციური უფლება, ახლა მიღებულია კანონი სსრ კავშირიდან რესპუბლიკის გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესის შესახებ, ჰოდა, მოდით, ახლა დავიწყოთ „განქორწინების პროცესი“, აკი მიიღეს ერთ ღამეში გადაწყვეტილება ისე, რომ ხალხს არ მოეთათბირნენ, რეფერენდუმი არ გაუმართავთ — ეს ხომ ავანტიურაა.

როგორც იტყვიან, ძალით ვერავის აცხონებ, თუ გსურს გახვიდე, უწინარეს ყოვლისა, უნდა უთხრა ლიტველ ხალხს, როგორი იქნება შედეგები — ტერიტორიული, ეკონომიკური, თავდაცვის ან იმათ მოწყობასთან დაკავშირებული, ვინც არ მოისურვებს სხვა სახელმწიფოში დარჩეს. აი, ერთი ვარიანტი. აი, მეორეც: თუ რესპუბლიკა საბჭოთა კავშირში რჩება, რა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ-ტექნიკურ და სხვა უფლება-შესაძლებლობებს, რა თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას მიიღებს. და მაშინ ლიტველი ხალხი, ბრძენი ხალხი, თავად გაერკვევა, რომ მას ესაჭიროება დამოუკიდებლობა ყველა რესპუბლიკასთან ცოცხალი ურთიერთობის ფარგლებში.

ეს საკითხი უნდა წყდებოდეს ჩვენი ფედერაციის რეფორმირების საფუძველზე. ჩვენ ახლა ზედიზედ მივიღეთ კანონებს, რათა განვაახლოთ ჩვენი კავშირი. ხოლო თუ გაყოფა მოვინდომეთ, პირდაპირ გეტყვიან, თავს დავიტეხთ ისეთ სამოქალაქო ომს, ისეთ სისხლიან ხოცვა-ყლეტას, რომლისგანაც ყველანი ვერ გამოვალთ ცოცხლები. ეს ყველას უნდა გვახსოვდეს და ფიზიზლად ვიყოთ. ჩვენში ხომ სამოც მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობს თავისი ეროვნული რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ. როდესაც უკრაინაში ზოგიერთმა საზოგადოებრივმა მოძრაობამ ენის საკითხი დააყენა არა ისე, როგორც ეს უკრაინელებისა და რუსების, იქ ცხოვრები სხვა ეროვნებათა ადამიანების ინტერესებს შეესაბამებოდა, ყირიმში დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება, რომ იგი რუსეთისათვის დაებრუნებინა ნ ა თ ნ ახალგაზრა მილითნი ხელმოწერა შეაგროვეს და შემდეგ შეწყვეტეს, ვინაიდან სწორი გადაწყვეტა, ვინაიდან სწორი გადაწყვეტა ამოიოქვანეს. იგივეა დონბასში, უკრაინის აღმოსავლეთში, სადაც 11 მილიონი რუსი ცხოვრობს. ანდა, ნეტავ რომელი ოსტატი შეძლებდა ყაზახეთის დანაწილებას? აქ, სხვათა შორის, არც არაკვინ სვამს ასეთ საკითხს — არც ყაზახები და არც რუსები. ცხოვრობენ ნორმალურად, ეს ხომ ჩვენი ყველაზე ინტერნაციონალური რაიონია.

ვფიქრობ, ამხანაგებო, ჩვენ კეთილი ნების დიდი მარაგი გვაქვს, ტყუილად კი არ გვიცხოვრია ერთად ათწლეულების მანძილზე (თუმცა, ათწლეულები რა მოსატანია, თანამშრომლობას საუკუნეებში აქვს გადგმული ფესვი), ასე რომ, ახლანდელ ეტაპზე, როდესაც ფედერაცია ახლდება, შეგძლებთ მივაგნოთ სწორ პასუხს ყველა კითხვაზე. საჭიროა ოღონდ რაც შეიძლება მეტი ყურადღება გამოვიჩინოთ ერთმანეთის მიმართ. ხალხი ვერ იქნება გულდამშვიდებული, თუ არ მოუგვარდა ურთიერთობა სხვა ხალხებთან — აი გზა, რომლითაც ჩვენ უნდა ვიაროთ.

კითხვა. ხომ არ აპირებს სსრ კავშირის პრეზიდენტი მოუწოდოს ქვეყნიდან ამა თუ იმ მიზეზით წასულ ყველა ინტელექტუალს დაბრუნდნენ სახელმწიფოს განსაცდელის ჟამს, როგორც ეს ქნეს ჩინეთმა, იაპონიამ, და სხვებმა?... მიგაჩნიათ თუ არა დღემდე თავი კომუნისტად, თუ სკკ წევრად ითვლებით? ამაში პრინციპულ განსხვავებას ვხედავ... ქვეყნის ხელმძღვანელობისათვის საგალალო ტრადიციად იქცა უუნარადღებოდ ტოვებდეს ულალს, ჩამოვა თუ არა სსრ კავშირის პირველი პრეზიდენტი პირველად პერის ოლქში?

პასუხი. ულალს მალე ვეწვევი, არ ვიცი, ეს პერში იქნება თუ სხვა ქალაქი... ალბათ, მაინც სვერდლოვსკი.

მეორე კითხვა. თავი კომუნისტად მიმაჩნია, ეს ჩემი ღრმა რწმენაა. 1952 წლის მარტში მოსკოვის უნივერსიტეტში, ლენინის რაიონში შევედი პარტიაში და ბედის მადლობელი ვარ, რომ ჩემი ცხოვრება სიკეთეებადაგვე დავუკავშირე პარტიას. ვფიქრობ, უამისოდ ვერც მე და ვერც სხვები ვერ ვივარგებდით პიროვნებებად. ყოველივე იმას მიუხედავად, რაც ჩვენ ახლა ვიცით ჩვენი ისტორიის შესახებ, თვით პარტიის შესახებ — ეს ოდი ახლენს გავლენას ჩემს ერთგულებაზე სოციალისტური იდეისადმი. ასეთი ერთგულება შემორჩა ჩვენს ხალხს მთელი გადატანილი უბედურებისა და განსაცდელის მიუხედავად, და ეს მთავარი კრიტერიუმია, როდესაც ჩვენ რაღაცას ვთავაზობთ, ადამიანები, უწინარეს ყოვლისა მუშები გვეკითხებიან: ეს სოციალიზმს განამტკიცებს? ოქტომბრის იმპულსები ცოცხალია, და ეს მადლიანი ნაადგილი გარდაქმნის პოლიტიკის, ჩვენი საზოგადოების განახლების, მისთვის ახლებური თვისების მისანიშნებლად.

აპირებს თუ არა პრეზიდენტი მიმართოს ყველას, ვინც საზღვარგარეთ წავიდა? როგორ გითხრათ, პროცესი მიმდინარეობს, ჩვენ ამ საკითხებს მთელი ყურადღებით ვეკიდებით. მართალია, არის მეორე გარემოებაც, ზოგზოგები ქვეყნის ძნელებდობის ჟამს ხელსაყრელ კონტრაქტებს ამყარებენ და საზღვარგარეთ მიემგზავრებიან, რათა ერთ-ორ წელიწადს შეაფარონ თავი, დაიკაფონ, ფული დააგროვონ. მე ვფიქრობ, ეს ზნეობის საკითხია. თუმცა სახელმწიფოს მხრივ, რომელმაც თავისი ბარჯი დააბანდა ამა თუ იმ სპეციალისტის ფორმირებაში, უნდა იყოს რაღაც რეგულატორები. ჩვენ უნდა მივიღოთ ზომები მეცნიერ-სპეციალისტთა „გადინების“ აღსაკვეთად. მაგრამ საამისო გზად, უწინარეს ყოვლისა, მიმაჩნია ტალანტების სტიმულირება. აქ ჩვენ ხშირად ერთ ტაფაში ვაქცევთ ყველას და ამიტომ ვერ ვაღწევთ ჯეროვან შედეგს. ტალანტი, კვალიფიკაცია, კომპეტენტურობა უნდა წაახალისო. ხოლო ჩვენში, როდესაც სიტყვა ჩამოვარდება მეცნიერების დახმარებაზე, ყველაფერი ნაწილდება გათანაბრების პრინციპით: მოვუმატო ყველა უმეროს მეცნიერ თანამშრომელს ათ-ათი მანეთი, უფროსებს — თხუთმეტ-თხუთმეტი მანეთი, კიდევ ვიღაცას — ორმოცდაათ-ორმოცდაათი მანეთი და ა. შ.

საჭიროა სტიმული მივცეთ რეალურ წვლილს, და არა უბრალოდ ვფანტოთ ფული, მათ შორის, უსაქმურების წასახალისებლად, რომლებიც მხოლოდ ირიცხებიან სამეცნიერო კოლექტივებში და წლების მანძილზე არაფერს აკეთებენ. სწორედ ასევე, წარმოებაშიც გვმართებს ნაყოფიერებისა და პროდუქციის ხარისხის სტიმულირება. უნდა წავახალისოთ მეცნიერები, სპეციალისტები, ინჟინრები, მუშები, ოღონდ — პერსონალურად, პირადი შრომისათვის.

ამის გაკეთება არც ისე იოლი საქმეა. როგორც კი საპროექტო ბიუროსა ან სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში საპრემიო ფონდი გაჩნდება, მაშინვე მოითხოვენ რომ იგი ყველას თანაბრად გაუნაწილდეს. აბა, გაბედოს ვინმემ და თქვას, რომ ეს არ არის სწორი, იმიტომ, რომ სიდიროვი კარგად მუშაობს, ხოლო ივანოვი — არც ისე კარგად, მაშინვე გამოტყვრება შვიდი პტეროვი, რომლებიც იტყვიან: ეს წაბგლეჯაობაა, მოდით, ყველას ხუთ-ხუთი მანეთი მივცეთო. საზოგადოებაში ფესვგადგმული ეს გათანაბრების პოზიცია საბოლოოდ უნდა აღკვეთოთ. უნდა წავახალისოთ ტალანტი, კომპეტენცია, თაოსნობა, საქმის გაძღოლის უნარი და დავაკმაყოფილოთ საზოგადოების მოთხოვნილება.

კითხვა. როგორ გგონიათ, აუცილებელია დღეს სსრ კავშირის პრეზიდენტისათვის იყოს სკკ წევრი?

პასუხი. ვფიქრობ, რომ დღესდღეობით აუცილებელია.

კითხვა. პირადად თქვენ, როგორც პრეზიდენტი და როგორც ადამიანი, როგორ აღიქვამთ და აფასებთ საბჭოთა სატირიკოსების კონიუნქტურულ იუმორს თქვენი პიროვნების მიმართ?

პასუხი. საერთოდ, პატივს ვცემთ იუმორს. მინდა, თქვენც სამყოფად გქონდეთ იგი, მეტადრე ახლანდელ დროს. არის იუმორი, რომელიც სატირის ფარგლებსაც სცილდება და არსებითად პოლიტიკური ბრძოლის ფორმა ხდება. ესეც დასაშვებია.

მაგრამ არის ზოგი რამ ისეთი, რასაც უზენაესი საბჭო აიღებდა განსახილველად გამოიტანა საკითხი პრეზიდენტის სახელისა და ღირსების დაცვის შესახებ. როგორც ჩანს, საჭიროა დავიცვათ ჩვენი სახელმწიფოს სიმბოლოებიც — გერბი, ალამი, ჰიმნი. არ შეიძლება ზოგ-ზოგები თავს გრძნობდნენ თავზე ხელაღებულ გუნდად, რომელიც მოქმედებს პრინციპით — მიხდა და ვაკეთებ, ვინმემ გაბედოს და წინ დამიდგესო. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ დემოკრატიული ფორმები, დავძლიოთ გაიფთრება, გაბოროტება, რომლებიც ამ ბოლო დროს წამოტივტივდა. ხალხი ვერ იქნება გულდამშვიდებული, თუ არ მოუგვარდა ურთიერთობა სხვა ხალხებთან — აი გზა, რომლითაც ჩვენ უნდა ვიაროთ.

კითხვა. როგორ ეკიდებით ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის, სკკ ახალგაზრდული ორგანიზაციის შექმნის იდეას?

პასუხი: ჩვენ გვინდა ვიხილოთ ახალგაზრდული პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მხარში ედგება პარტიას, პარტიასთან ერთად იმუშავებს. რაც შეეხება ყოველივე დანარჩენს, ძვირფასო მეგობრუბო, თავად გაერკვევი. ჩვენი მხრივ სხვაგვარი მიდგომა ახალი რჩევა-დარიგება იქნებოდა.

კითხვა. „ლიტერატურნაია როსია“ იუწყებოდა, რომ უკვე არის 600 ათასამდე რუსულენოვანი ლტოლვილი ამიერკავკასიიდან, სხვა რესპუბლიკებიდან, — რატომ არის, რომ არც უზენაესი საბჭო და არც სკკ ცენტრალური კომიტეტი არ განიხილავენ და არ წყვეტენ ამ პრობლემას?

პასუხი. ჩვენში ბევრია ლტოლვილი, უწინარესად სომხები და აზერბაიჯანელები, მესხეთელი თურქების ნაწილი. არიან რუსული ოჯახებიც. ლტოლვილები სოციალისტურ ქვეყანაში, — გარდაქმნის დროს, როდესაც ჩვენ გვინდა გავკეთილშობილოთ საზოგადოება, გავხადოთ იგი დემოკრატიული, ადამიანური, — ეს უბრალოდ ჩვენი სატკივარია. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ეს არ იყოს.

კითხვა. როგორია თქვენი დამოკიდებულება საკავშირო პირნერული ორგანიზაციისადმი?

პასუხი. უაღრესად კარგი. დარწმუნებული ვარ, ასეთი ორგანიზაცია ჩვენს ბავშვებს სჭირდებათ. მაგრამ ახლა ამ ორგანიზაციაში მოძალებულია მეტისმეტი ფორმალიზმი, კაბინეტურობა. და ეს მტკიცედ უნდა დავძლიოთ. გვეკითხებიან: ხომ არ ვიპირებთ განვიხილოთ ამ ბავშვთა ორგანიზაციის სვე-ბედის საკითხი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. ვფიქრობ, ამ სურვილს უნდა გამოვეხმაუროთ.

კითხვა. თქვენი აზრი მოკავშირე რესპუბლიკებში პრეზიდენტობის თაობაზე?

პასუხი. ეს თემა საფუძვლიანად განიხილეს საფედერაციო საბჭოს წევრებმა. აღიარეს, რომ ბოლოს და ბოლოს, ეს თითოეული რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეროგატივა, მისი სუვერენული უფლებაა. უმრავლესობამ მაინც მხარი დაუჭირა იმას, რომ არ არის საჭირო და არც სკკ ცენტრალური კომიტეტი არ განიხილავენ და არ წყვეტენ ამ პრობლემას?

პასუხი. ჩვენ ვიცავთ ლენინურ მიდგომას. ლენინი ეხსრობოდა ფედერაციას იმაში, რაც შეეხება სახელმწიფო წყობილებას, და უარყოფდა ფედერაციულ მიდგომას პარტიის მშენებლობისადმი, ამასთან საფუძვლად მიაჩნდა კლასობრივი მიდგომა, ინტერნაციონალიზმი. კომკავშირმა თავად უნდა გადაწყვეტოს ეს საკითხი. პარტია დღეს იღებს ახალ გადაწყვეტილებებს, ახალი წესდების პროექტში გაჩნდა საგანგებო განყოფილება რესპუბლიკების კომპარტიათა შესახებ. მათი სტატუსი იზრდება, გათვალისწინებულია მათ მიერ საკუთარი საპროგრამო და ორგანიზაციული დოკუმენტების შემუშავების შესაძლებლობა, რომ არაფერი ვთქვათ საკადრო, საფინანსო და სხვა საკითხთა გადაწყვეტაზე. თუ ჩვენ ვაყენებთ წინადადებას, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში იყვნენ რესპუბლიკების კომპარტიათა ხელმძღვანელები, უკვე ფედერალიზმის ელემენტებია. ალბათ, რაღაც ამდაგვარი შესაძლოა იმ ორგანიზაციული ფორმების განხილვისა და შემუშავების დროსაც, რომლებშიც უნდა განხორციელდეს კომკავშირის პოტენციალი.

კითხვა. აპირებთ თუ არა განაახელმწიფოებრიოთ საერთო საკავშირო საკუთრების ძირითადი ნაწილი, ადგილებს გადასცეთ ეკონომიკის მართვა?

პასუხი. ეს პროცესი მიმდინარეობს, და ყველა კანონი, რომლებიც ჩვენ მივიღეთ, სწორედ ამის სამართლებრივ წანამძღვრებს ქმნის. ჩვენ თავი უნდა დავაღწიოთ მონოპოლიზმს, ვიაროთ განსახელმწიფოებრიობის, იჯარის გზით. მხოლოდ ისე უნდა ვიმოქმედოთ, არ მივიღოთ კოლექტივიზაციის ახალი ვარიანტი, რათა ადამიანები იძულებით არ მოვაქციოთ იჯარაში ან სააქციო საზოგადოებაში. თითოეული კოლექტივი და ადამიანი უნდა მომწიფდეს ამისათვის, სწორედ მაშინ ექნება ამას აზრი, მეორე მხრივ, უნდა დავიცვათ ისინი, ვინც ასეთი არჩევანი გააკეთა. თავის დროზე, ჩემი აზრით, ჩელიაბინსკის ოლქში ერთ მოიჯარეს, რომელმაც იჯარით აიღო ფერმა და კარგი შედეგების მიღება დაიწყო, კულაკი უწოდეს და ციცხლი წაუიღეს მის მეურნეობას. ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე რიაზანელმა მოიჯარემ თქვა, რომ იგი ახლრხეს ნორმალურად წარმართოს საქმე, რადგან კოლმეურნეობის თავმჯდომარე გაგებული, ამისადმი განწყობილი კაცი, თორემ ყველაფერი დაიღუპებოდაო. მაგრამ ეს კაცი ზაზს უსვამდა, რომ უკოლმეურნეობოდ მოიჯარესაც არა აქვს. პერსპექტივები, რადგან მთელ ინფრასტრუქტურას — ტექნიკურ მომსახურებას, საწვავით მომარაგებას, პროდუქციის გასაღებას, სოციალურ საკითხებს — უზრუნველყოფს კოლმეურნეობა. წინაღმდეგ შემთხვევაში საჭირო იქნებოდა კოოპერატივის შექმნა, რომ იგივე მომსახურება ჰქონოდა. ამიტომ ორგანულად უნდა შევახამოთ სამეურნეო დამოუკიდებლობა და ჩვენი ახლანდელი დიდი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესაძლებლობანი.

რაც შეეხება ადგილებზე ეკონომიკის მართვას, ჩვენ მივდიოთ დეცენტრალიზაციის გზით, მაგრამ ცენტრის ზემოქმედების გონივრულ დონესთან შეხამების პირობებში.

კითხვა. როგორ აფასებთ მთავრობის მოქმედებას ტიუმენის ოლქში რთული პრობლემების გადასაჭრელად. შეიძლება თუ არა ვიქონიოთ თქვენი მხარდაჭერის იმედი?

პასუხი. გუშინ წავიკითხე, რომ ტიუმენელები და მთავრობა აქტიურად თანამშრომლობენ. მე ნამყოფი ვარ ტიუმენში, ეს იყო საინტერესო და მნიშვნელოვანი ვიზიტი. ჩვენ ყველანი დაინტერესებული ვართ, რომ მხარე, სადაც ვიღებთ ჩვენი ნავთობის ძირითად ნაწილს და გაზის მნიშვნელოვან ნაწილს, კარგად ვითარდებოდეს. ბუნებრივია, ვალდებული ვართ ვიზრუნოთ მკაცრ პირობებში იქ მომუშავე ადამიანებისათვის.

ჩემი მგზავრობის შემდეგ მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, მათ მოახდინეს თავისი ზემოქმედება, მაგრამ, აი, მნიკანათმშენებლობამ ცუდად მოახდინა რეაგირება. სხვათა შორის, აზერბაიჯანელი ამხანაგები დიდად არიან დავალებული — რესპუბლიკაში სანავთობე მოწყობილობის კარგი მანქანათმშენებლობაა, მაგრამ მათ დაიალაბატეს, და ამან გავლენა მოახდინა გთვალისწინებულ ღონისძიებებზე. ტიუმენს მხარს დავუჭერთ, ისევე როგორც მხარს ვუჭერთ სხვა ოლქებს, მისი პრობლემები ჯნდა გადაიჭრას.

კითხვა. რა საფუძველი აქვს გაცხადებას იმის შესახებ, რომ კომკავშირი პარტიის რეზერვია ამ ეტაპზე?

პასუხი. კომუნისტთა პარტია მთელი ენერგიით ვერ იმოქმედებს, თუ მის გვერდით არ იქნება კომუნისტური ახალგაზრდული ორგანიზაცია. დაე, უწოდეთ მას რეზერვი, თანაშემწე, როგორც ვფიქრობთ, მაგრამ უამისოდ პარტია ვერ იცხოვრებს ნორმალურად. მან უნდა შეავსოს თავისი რიგები ახალგაზრდა კომუნისტთა ხარჯზე.

კითხვა. რა ღონისძიებანია დაგეგმილი იმ ოფიცრების, ოფიცერთა ოჯახების სოციალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფისათვის, რომლებიც გამოგვყავს ჩეხოსლოვაკიიდან, — ბინები, სამაგვიო ბაღები, ცოლების შრომითი მოწყობა და ასე შემდეგ? ჯარების ჩვენი ჯგუფის ოფიცერთა განწყობილება ჯანსაღია, ისინი მზად არიან მოიხადონ ვალი სამშობლოს წინაშე, მაგრამ სურთ, რომ მათი ოჯახები არ აღმოჩნდნენ ლტოლვილთა მდგომარეობაში.

პასუხი. ეს კითხვა საშუალებას მაძლევს აღვნიშნო ის, რაც გამოვლინდა საზოგადოებაში, პრესაში ჩვენი არმიის მიმართ. ჩვენ უნდა მივესალმოთ ყოველივეს, რაც ხელს უწყობს გარდაქმნას. განახლებას ამ ძალზე მნიშვნელოვან სახელმწიფო ინსტიტუტშიც. ვფიქრობ, სამხედროებიც არ არიან იმის მომხრენი, რომ არმია გამოცალკევებული დარჩეს, რომ იქ იყოს დამყაყებული ატმოსფერო. მაგრამ ყოველნაირად უნდა დავუჭიროთ მხარი ამხანაგებს, რომლებიც ვალს იხდიან სამშობლოს წინაშე, განსაკუთრებით ძირითად ოფიცერთა კორპუსს, პოლკის დონემდე, რომელიც იძულებულია იმომთბაბარეოს მთელ ქვეყანაში ოჯახთან ერთად სადაც გზავნიან, იქ ეწყობიან, ბავშვები იცვლიან სკოლას, ცოლები სამუშაოს. არ შეიძლება რაიმე უპატივცემულობის გამოვლენა არმიის მიმართ, ეს შეუწყნარებელია. ლაპარაკი პროფესიული არმიის შესახებ, ჩემი აზრით, ნაადრევია, თუ არ ვიტყვით, რომ არადროულია. სახელმწიფოს არ შეუძლია ახლა იტვირთოს ასეთი არმიის შენახვა. არმია, ოფიცერთა კორპუსი უნდა გრძნობდნენ საზოგადოების, პარტიის, კომკავშირის, სახელმწიფოს მხარდაჭერას.

საჭიროა სამხედრო რეფორმა. იგი ახლა მუშავდება. განხრახული მაქვს მთელი რიგი შეხვედრები მოვიწყო სხვადასხვა დონის ოფიცრებთან და გენერლებთან, რათა შევიქმნა აზრი, მოვუსმინო მათ.

რაც შეეხება ოფიცერთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობებს, — ეს დღეს ყველაზე მტკივნეული საკითხია, და ჩვენ მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ ამ მხრივ უნდა გვქონდეს მთავრობის პროგრამა. ასეთი დავალება მივეცი თავდაცვის სამინისტროს, და მალე მას განიხილავენ მთავრობა, თავდაცვის საბჭო და პრეზიდენტის საბჭო. ჩვენ უნდა დავეხმაროთ არმიას ცენტრშიც, ყველა რესპუბლიკაშიც, მაგრამ უნდა გამოვიყენოთ მისი საკუთარი შესაძლებლობებიც, იმის ნაწილი, რაც ახლა თავისუფლდება სოციალურ პრობლემათა გადაჭრისათვის.

კითხვა. პარტიის XXVIII ყრილობისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმასთან ერთად გაჩნდა „დემოკრატიული პლატფორმა“, რომელსაც მხარს უჭერს კომუნისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი. განსაზღვრავდა თუ არა პოლიტიკურო თავის დამოკიდებულებას ამ დოკუმენტისადმი დაროგორია თქვენი თვალსაზრისი ამ საკითხზე?

პასუხი. ჯერ ერთი, ჩვენ დავსაკვენთ, რომ ეს პლატფორმა უნდა გამოქვეყნდეს და განიხილონ კომუნისტებმა. „პრავდამ“ იგი გამოაქვეყნა, დისკუსია ამის შესახებ პარტიაში მიმდინარეობს. იმათ, ვინც აკრიტიკებს კონსერვატიული პოზიციებიდან სკკ პლატფორმის პროექტს, მიიჩნიეთ, რომ მასსა და „დემოკრატიულ პლატფორმას“ შორის პრაქტიკულად არ არის განსხვავება, თითქოს ტრთიც და მეორეც რევიზიონისტული.

როგორ ვუყურებ ამას? მართალაც, ამ დოკუმენტებს შორის ბევრი რამ ერთმანეთს ეხმიანება. მაგრამ იმაში, რაც შეეხება სოციალ-ეკონომიკურ პრობლემებს, „დემოკრატიული პლატფორმა“ არაფერს არ შეიცავს. ეს საერთოდ პლატფორმა არც კია, იგი, უმთავრესად, ეხება ორგანიზაციულ საკითხებს. პარლამენტური ტიპის პარტიის დემოკრატიული ცენტრალიზმის საკითხები — აი, საც არის განსხვავება. ამ თვალსაზრისით მე ვდგავარ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმის პოზიციებზე.

ვფიქრობ, რომ ისინი, ვინც ასე თუ ისე დაუკავშირდა „დემოკრატიულ პლატფორმას“, არ არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მტრები, და მათ შეუძლიათ ბევრი კონსტრუქციული, სასარგებლო საქმის კეთება. სხვა საქმეა, რომ ამ მიმდინარეობას „იმორჩილებდა“, როგორც ეს ხდება სახალხო ფრონტებთან, ეროვნულ მოძრაობებთან დაკავშირებით, პოლიტიკურ მოღვაწეთა ჯგუფი, რომლებსაც სურთ თავიანთი ამბიციების რეალიზაცია პარტიულ მასაზე დაყრდნობით და ამით იმის ჩვენება, რომ ისინი წარმოადგენენ პარტიის პროგრესულ ძალებს. და როცა ყურს ვუგდებთ ამ ადამიანებს, რომლებსაც თავი მიაჩნიათ „დემოკრატიული პლატფორმის“ წინამძღოლებად, ვხედავთ, რომ მოგვიწოდებენ კაპიტალიზმისაკენ, სხვა წყობილებისაკენ. ეს უნდა დავინახოთ.

კითხვა. როდის დატოვებთ სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტს და ვის გადაულოცავთ მას?

პასუხი. მე უკვე გიპასუხეთ, რომ ჯერ-ჯერობით პოსტების შეერთება აუცილებელია. თუმცა ეს მძიმეა, მაგრამ ფუნქციების გადაცემა ძალზე მნიშვნელოვანი და პასუხსაგები პროცესია, იგი უნდა მოხდეს ნორმალურად, რათა ყველაფერი დარჩეს დემოკრატიულ ფარგლებში და ჩვენ უზრუნველყოთ საბჭოებისა და პარტიის ახალი როლი. თუ პოსტებს ახლა გავაცალკევებთ, რათა დავაკმაყოფილოთ ვინმეს ლოზუნგები, შეგვიძლია ქვეყანაში მივიღოთ ორნელისუფლებიანობა და კონფრონტაცია.

კითხვა. რატომ არის, რომ ჯ

14 აპრილი ქართული ენის დღეა

ჟურნალისტ დიდი ეროვნული მნიშვნელობის გადაწყვეტილება მიიღეს რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა: თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, მისი ენათმეცნიერების ინსტიტუტის, საქართველოს მწერალთა კავშირისა და სხვა შემოქმედებითი საზოგადოებრივი ორგანიზაციების აზრის შესაბამისად, ამიერიდან 14 აპრილი აღინიშნება, როგორც ქართული ენის დღე. დიახ, ჩვენი უძველესი და უმდიდრესი ენა სწორედაც რომ იმსახურებს ქართველი საზოგადოებრიობის მუდმივ ყურადღებას, ზრუნვას მისი განვითარებისა და ქართველოლოგიური კვლევა-ძიების უფრო გაღრმავებისა და მაღალ საფეხურზე აყვანისათვის.

ქართული ენის პატივმიგების ამ შესანიშნავ დღეს მკითხველს ვთავაზობთ აკადემიკოს შოთა ძიძიგურის სტატიას „ღვთისაგან ნაწყალობევი“ და ვალერი ასათიანის „მაღალი იდეალების სამსახურში!“. ჩვენი ხვალინდელი, საკვირაო ნომერი კი თითქმის მთლიანად ქართულ ენას დაეთმობა.

ქართული ენა ქართველი ერის ნიშანთა შორის ყველაზე ძველი ნიშანია: იგი მრავალი საუკუნით ადრე არსებობდა, ვიდრე ერთიანი ტერიტორია და ეკონომიკა. ქართული ენა უმთავრესი იარაღი კულტურის, ძირითადი ფაქტორი და გამომხატველი ქართველი ერის განვითარებისა, მისი შემოქმედებისა, ეროვნული თვითშეგნებისა. ქართულ ენაში აღიბეჭდა ქართველი ხალხის ისტორიის ეტაპები, — უძველესი ხანიდან მოყოლებული, — ყველა საფეხური, რომლებიც განვლო მისი კულტურის განვითარებამ. ამიტომ ხალხს მდიდარი წარსული, მისი კულტურის ინტენსიური განვითარება თავდებია ქართული ენის სიმდიდრისა და აღმავლობისა. ქართული ენა ერთ-ერთი უძველესი ენაა მსოფლიოში. მისი წარმოქმნის სათავეებს მეცნიერების ისტორიული თვალი 6000 წლის უფნარეს სიღრმეებში სწვდება.

ქართული ენა ქართველი ტომების საერთო ენაა. იგი აერთიანებს ქართველი ერის უმთავრეს ტომებს: ქართებს (აღმოსავლეთ ქართველებს), მეგრელ-ჭანებს (ზანებს) და სვანებს (დასავლეთ ქართველებს). კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით ცნება „ქართული ენა“ მოიცავს როგორც საკუთრივ ქართულ ენას, ისე მეგრულ-ჭანურს (ზანურს) და სვანურს, თუმცა ვიწრო ლინგვისტური გაგებით მეგრულ-ჭანური (ზანური) და სვანური „საშინაო ენებია“ და ქართველურ ენებად იწოდებიან (ისინი საერთო ქართული ფუძეენის დიფერენციაციის შედეგს წარმოადგენენ). მთთ შეიძლება ქართული ენის მსხვილი დიალექტებიც ვუწოდოთ (ერთ დროს ასეც უწოდებდა ზოგი მკვლევარი). ქართველი ერი ამ სამი უმთავრესი ქართველური ტომის ერთობლიობაა; ქართული ენა მთელი ქართველობის გამაერთიანებელია.

ქართველური ტომების კომპაქტურობა ძველი საუკუნეების მოსაპოვარია. შუა საუკუნეებში ამ კომპაქტურობას და ერთიანობას საგრძნობლად შეუწყო ხელი ქართველი ტომების არსებობამ ერთ სახელმწიფოში და ქართული ენის მიღებამ საერთო-ეროვნულ სალიტერატურო ენად.

ქართული ენა ისტორიულად ეროვნული კონსოლიდაციის ყველაზე მძლავრ ბერკეტს წარმოადგენდა.

ქართულმა სალიტერატურო ენამ დიდი, როლი შეასრულა ქართველი ერის კომპაქტურობის შენარჩუნებაში, ერთიანი ეროვნული და სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. იგი იყო შემკრავი და შემდეგბებელი მთელი ქართველობის, ისტორიული განვითარების ხანგრძლივ პროცესში.

ქართული სალიტერატურო ენა წარსულ საუკუნეებში საფუძველს უქმნიდა ჩვენი ხალხის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას.

ქართული ენა მიეცუთვნება მსოფლიოს ცივილიზებულ ენებს. ამ ენაზე შეიქმნა ისტორიული წარსულში უმდიდრესი ლიტერატურა — როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი.

ქართულმა ენამ შემოგვინახა ისეთი თხზულებები ბიზანტიური მწერლობისა, რომელთა ბერძნული დედნები დაკარგულია, მათი აღდგენა კი შეიძლება მხოლოდ ქართული თარგმანებით; ქართულ ენაზე შემონახული ცნობები ზოგიერთი ბიზანტიელი ავტორის შესახებ აკვსებენ და სულ ახალ ასპექტში აშუქებენ მათს ცხოვრებასა და შემოქმედებას; ქართულმა მწერლობამ სპარსული, არაბული და სირიული ლიტერატურიდან თარგმნილი უძვირფასესი ძეგლებიც შემოგვინახა.

ქართული ენის ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი შეიცავს მრავალ სპეციფიკურ ნიშნს, რომლებიც სხვა ენებში არ დასტურდება. ამრიგად, ქართული ენა უალრესად სასიტერესო მეცნიერებისათვის როგორც კულტურულ-ისტორიული, ისე ლინგვისტური თვალსაზრისით.

ქართულმა ენამ განვითარების გრძელი და მეტად შინაარსიანი გზა განვლო. თხუთმეტსაუკუნოვანმა სალიტერატურო ენამ გაალრმავა თავისი შინაგანი შესაძლებლობანი და მკაცრად ჩამოაყალიბა თავისი სტრუქტურა, გაფართოვა თავისი ლექსიკის ჩარჩოები. ცნობილი ქართველოლოგი ნიკო მარი ამბობდა: „ქართულ ენას შეუძლია სრულფასოვნად და დაუმახინჯებლად გადმოგვცეს გაწყენებული აზროვნების ცნებები. ქართულად ადვილად ითარგმნება როგორც ფაიური, ისე ევროპული კულტურული საზოგადოების მთელი პროდუქცია... ქართული ადამასთანავე, შემონახულია ბევრი უთარიღო ხელნაწერი და წარწერა IX-X საუკუნეებისა და თარიღიანი X საუკუნისა. განსაკუთრებით უხვად არის წარმოდგენილი როგორც თარიღიანი, ისე უთარიღო ძეგლები (წარწერები, სიგელ-გუჯრები, ხელნაწერები), მოყოლებული XI საუკუნედან.

ქართული ენის უძველესი ხელნაწერები საქართველოს გარდა დაცულია რუსეთში, სირიაში, პალესტინაში, სინას მთაზე, ბიზანტიაში, საბერძნეთში, ბულგარეთში, საფრანგეთში, პოლონეთში, ინგლისში, იტალიაში, ავსტრიაში, გერმანიაში, ამერიკაში და სხვ.

უხსოვარი დროიდან მოყოლებული ქართველ ხალხს ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული მსოფლიოს მრავალ ხალხთან თუ ეთნიკურ ერთეულებთან. ეთნოკულტურული კონტაქტები მკვეთრად არის აღბეჭდილი ქართული ენის სტრუქტურაში და განსაკუთრებით ლექსიკაში. უცხოური ენობრივი ელემენტების გამოელენა მეკვრმეტყველურად აუწყებს ქართველების ისტორიული განვითარების გზას და მათ სოციალურ ურთიერთობებს სხვადასხვა წარმოშობისა და განვითარების ეთნოსებთან. ამასთანავე, ქართულ ენასაც შეუტანია თავისი წვლილი სხვა ენათა ისტორიულ განვითარებაში.

ქართულ ენაში დალექილია უფნარესად მცირე აზიის გადაშენებული ცივილიზებული ენების ლექსიკური ელემენტები. ზოგი მკვლევარი ამ გარემოებას გენეზისური ურთიერთობის პლანში ხსნის.

უძველესი ენობრივი კონტაქტები იმას ადასტურებს, რომ ქართველი ტომები ბინადრობდნენ დღევანდელი საქართველოს ფარგლებს გარეთაც, კერძოდ, მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლურ რეგიონებში, სამხრეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე. ამას მოწმობს, ჯერ ერთი, კულტურის მხრივ ამ რაიონების მჭიდრო კავშირი, ხშირ შემთხვევაში — სრული ერთობაც საქართველოსთან, რაც კარგად ჩანს არქეოლოგიური მასალის შუქზეც. მეცნიერება ვარაუდობენ აღმოსავლეთ მცირე აზიაში ქართველური მოდგმის არსებობას და ასეთ ტომთა რიცხვს აკუთვნებენ მუშქებს (გვიანდელ მოსხებს — მესხებს), თაბალელებს, ქასქებს (გვიანდელ ქაშაკებს)... დადასტურებულია ქართველური ტომების ენობრივი კონტაქტები მცირე აზიის ცენტრალურ და მესოპოტამიის ჩრდილო რაიონებში მოსახლე ხათურ (ჰროტხეთურ) და ხურიტულ მოსახლეობასთან. შუმერული, ხათური („ჰროტხეთური“), ხურიტული, ურარტული, ელამური ანუ სუზური იმ ეთნოსების გადაშენებული ენებია, რომელთაც უძველეს დროს შექმნეს დიდი ცივილიზაცია და „დაარწიეს საკაცობრიო კულტურის პირველი აკვანი“... ქართველურ ენათა შეხვედრები ურარტულ ენასთან მტკიცდება როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული მოვლენების ერთობლიობითაც. ფარითად არის მეცნიერებაში ცნობილი ქართული და შუმერული ენების პარალელების ამსახველი გამოკვლევები.

როგორც ბოლო ხანების მეცნიერულმა ძიებამ დაადასტურა, ახლო აღმოსავლეთის უძველესი ხალხების (შუმერების და სხვ.) მეზობლად ძვ. წ. IV-III ათასწლეულის წინა აზიაში ერთმანეთის სიახლოვეს ცხოვრობდნენ ისეთი პრეისტორიული ხალხები, რომლებიც III ათასწლეულიდან მოყოლებული ისტორიულად ცნობილ ინდოევროპელებად, ქართველებად და სემიტებად ჩამოყალიბდნენ. როგორც ირკვევა, თანამედროვე ინდოევროპელების წინარე სამშობლო უნდა ყოფილიყო წინა აზია, სახელდობრ, ცენტრალური მესოპოტამიის ჩრდილოეთსა და ამიერკავკასიის სამხრეთს შორის მოთავსებული ტერიტორია.

მიუხედავად იმისა, რომ პროტოინდოევროპელები, პროტოსემიტები და პროტოქართველები სრულიად განსხვავებულ ენობრივ ოჯახებს ეკუთვნიან, მრავალი სიტყვა ერთი ენიდან მეორეში გადადიოდა და პირუკუ (თ. გამყრელიძე). ასე რომ, ხშირად ძნელი დადგენია, თუ რომელი ენის კუთვნილებაა ესა თუ ის მსგავსი ძირის სიტყვა; გარდა ამისა, მსგავსია ენობრივი ნიშნებიც. გამოვლენილია ქართულ-ინდოევროპულ ენათა უძველესი ნასესხობანი (IV-III ს.ს. ჩვენს ერამდე). ცხადი ხდება, რომ სამივე ფუძეენისათვის (პროტოინდოევროპულისა, პროტოსემიტურისა, პროტოქართველისათვის) დამახასიათებელია ენობრივ სტრუქტურათა განსაკვეფრებელი მსგავსებაც. მეზობლად მყოფი ენები ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგად (იმისდა მიუხედავად, ისინი გენეტურად ერთი მოდგმის არიან თუ არა) წარმოქმნიან ენობრივ კავშირებს. ეს კავშირები კი ნათლად ჩანს ენობრივი ანალიზის შედეგად. ამ გარემებას არსებითი ადგილი უნათლავდება ან უახლოვდება უცხო წარმოშობის ენას, ადვილად ითვისებს მეზობელი და უცხო ხალხების აზროვნებისა და მეტყველების მიღწევებს. ქართული ენა ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე უფრო განვითარებული ენაა“.

ქართულ ენას წარსულში დიდი დევნა და შევიწროება განუცდია. მას გადაშენებას უქადდნენ დიდი იმპერიების ენები, რომლებიც მომძლავრებული იყვნენ ჩვენს ქვეყანაში ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. დევნა და შევიწროება განიცადა ქართულმა ენამ რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმისგანაც.

ქართული ენა ერთადერთი ძველი დამწერლობის მქონე ენაა იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის. ორიგინალურ ქართულ დამწერლობას დამოუკიდებელი ადგილი უკავია მსოფლიოს დამწერლობათა სისტემებში და ისტორიული ფესვებით შორეულად უკავშირდება ფინიკიურ-სემიტურ ტიპს. ჩვენამდის მოღწეული ადრინდელი სამწერლობო ძეგლები V საუკუნეს განეკუთვნება. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ქართული სალიტერატურო ენა უფრო ადრეც არსებობდა. ამას მოწმობს ძველი ქართული მწერლობის პირველდელი ძეგლების ენის დახვეწილი სტრუქტურა (მწიგნობრული ენისათვის ნიშანდობლივი ელემენტები) და ლექსიკის სიმდიდრე, ჩვენამდე მოღწეული პირველი ლიტერატურული ნაწარმოების (დაწერილია 475-483 წ. წ.) მხატვრული ღირსებები, უძველესი ქართული დამწერლობითი ძეგლის პალეოგრაფიული თვისებები. ანგარიშგასაწევია ისტორიული ტრადიცია — IX ს. ნემატიანის ცნობა ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ ძვ. წ. III საუკუნეში ფარნავაზ მეფის დროს.

V საუკუნეშია თარგმნილი ქართულ ენაზე ბიბლიური ტექსტები (ბიბლიის თარგმნა განვითარებულ ენას გულისხმობს!); მათგან ყველაზე ადრე სახარება ითარგმნა. პირველი თარიღიანი ეპიგრაფიული წარწერაა 616-619 წლებისა. პირველი თარიღიანი ხელნაწერია სინური მრავალთავი ანუ კრებული 864 წლისა. დაცულია აგრეთვე ისეთი მნიშვნელოვანი ხელნაწერები, როგორიცაა: ოთხთავები 897, 913, 936, 973, 978, 995 წლებისა, სამოციქულო 974 წლისა, ბიბლია 978 წლისა და სხვ.

ახალმა ქართულმა ტერმინებმა თავისი ასახვა პოვა სამეცნიერო ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში, რომლებიც ჩვენი მეცნიერების დაუღალავი და ნაყოფიერი მოღვაწეობის შედეგად შეიქმნა. ქართული ენის უმდიდრესი და ამოუწურავი სიტყვთრივი საუნჯე აისახა რვატომეულ ქართულ განმარტებით ლექსიკონში, რომელიც ნამდვილი მშვენებაა ქართული ლექსიკოლოგიური ლიტერატურისა. ეროვნული ლექსიკოგრაფიის უდიდესი ქმნილებაა და ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის დიდი აღმავლობის გამომხატველი წარმოუპოვარი ძეგლი ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

დღეს არნახულად გაიზარდა სალიტერატურო ენის როლი და გამრავლდა მისი ფუნქციები; ზრუნვა ენის სიწმინდისათვის, ენობრივი კულტურის ამაღლებისათვის სახელმწიფოებრივი მზრუნველობის საგნად გამოცხადდა. აუცილებელი შეიქმნა სადავო ენობრივ ფორმათა მოწესრიგება და ახალ ნორმათა დადგენა. ფრიად ნაყოფიერი მუშაობა გასწია სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის დარგში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამფუძნებელ კომისიამ, რომელიც წლების მანძილზე იმუშავებდა კანონებს და აქვეყნებდა შესაბამის სარეკომენდაციო ლიტერატურას. ამ საქმეში განსაკუთრებით აღსანიშნავია არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დამსახურება. სალიტერატურო ნორმათა დამდგენი კომისიის მუშაობაში გარდა ლინგვიტებისა, მონაწილეობენ ჩვენი მწერლები, ჟურნალისტები, ხელოვნების წარმომადგენლები.

ახალი მოთხოვნილებების მიხედვით საქმიანობის წარმართვა აუცილებელია ქვეყნად დემოკრატიზაციის პროცესისა და საჯაროობის შემდგომი განვითარების, გარდაქმნის თანამედროვე ვითარების გათვალისწინებით. ამ ამოცანების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია“ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 7 მარტის დადგენილებით გარდაიქმნა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ქართული სალიტერატურო ენის მუდმივ სახელმწიფო კომისიად“, რომელსაც აქვს ორი ქვეკომისია: ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი და ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციონირების მაკონტროლებელი (ამ უკანასკნელში შედის კომპიუტერიზაციის საბჭო და საზედამხედველო საბჭო).

ქართული ენის უფლებების გაფართოებისა და დაცვისდრის, მისი სიწმინდისა და განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ენის შემდგომი განვითარების სახელმწიფო პროგრამას, რომელიც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივითა და მითითებით შეიმუშავეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირმა, რუსთაველის საზოგადოების პრეზიდიუმმა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეთა მონაწილეობით.

ჩვენი დედაენის, ქართული ენის საგანგებო დღის დაწესება სადღესასწაულო მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული. დიდი ილიას თქმით „ენა სახალხო ქონებაა“ და მთელი ქართველი ერის ეს ნიშანდობლივი ეროვნული დღეც სახალხო დიდებითა და პატივით იქნება გაცისკროვნებული.

ზოთა ძიძიგური,
აკადემიკოსი.

ღვთისაგან ნაწყალობევი

ვილად უნათლავდება ან უახლოვდება უცხო წარმოშობის ენას, ადვილად ითვისებს მეზობელი და უცხო ხალხების აზროვნებისა და მეტყველების მიღწევებს. ქართული ენა ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე უფრო განვითარებული ენაა“.

ქართულ ენას ფენტეზია, ბერძენ-ლათინურ ენებთან ერთად, ბევრ ენებზე ზეგავლენა ჰქონდა. ეს ენა ევროპულ ენებზე ადრე გამოიყენებოდა ეროვნული ენა ევროპულ ენებზე ადრე გამოიყენებოდა.

სპორტი

ეროვნული

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

ერთი წამით მოდუნება...

მეორე ტურიდან ბრძოლაში ჩაება იოსელიანი. იგი თეორიებით ფრიად ენერგიულად თამაშობდა ხუგაშვილთან, თანდათანობით უპირატესობა მიიღო და ორი ზედიზედ პაიკით დარჩა. პარტიის ბედი თითქოს გადაწყვეტილი იყო. შავი მეფე შეტევის ქარცეცხლში აღმოჩნდა, იოსელიანის კიდურა გამსვლელი პაიკი შეუჩერებლად დაიძრა წინ. ერთი სიტყვით, მოგებისაკენ რამდენიმე ბიჯს მივყავდით, მაგრამ მოულოდნელად თეორები (შეტოქის ძლიერ ცაიტნოტში!) აჩქარდნენ და გამოჩნდა ყაიმისაკენ მიმავალი... ერთადერთი გზა! ხუგაშვილმა, რომლის ტაქტიკური გამჭრიახობა კარგად არის ცნობილი, დაუყოვნებლივ შესწორა ეტლი, რის შემდეგაც გამოირკვა, რომ იოსელიანი მუდმივ ქიშს თავს ვერ დააღწევდა. ერთი სიტყვით, მოსაგებ პოზიციაში ერთი წამით მოდუნება იოსელიანს ნახევარ ქულად დაუჯდა.

დიდი ინტერესი გამოიწვია საპრიზო ადგილების უდავო პრეტენდენტების — ალექსანდრიას და კახიანის შეხვედრამ. გამოცდილების თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, გასაგებია, ვის მხარეზეა უპირატესობა. მაგრამ არის მეორე ფაქტორიც: ალექსანდრიას ბოლო ხანებში აშკარად აკლია სათამაშო პრაქტიკა, კახიანი კი ამას წინათ ჯერ ბელგრადის ქალთა ტურნირში გამოდიოდა, შემდეგ — ბუდაპეშტში, ვაჟთა შეჯიბრებაში. ერთი სიტყვით, გოგონათა შორის მსოფლიო ჩემპიონის ახლანდელი საბრძოლო მზადყოფნა საეჭვეთესოა. ინგლისურ დასაწყისში შავებით კახიანმა ჯერ ერთი პაიკი შესწირა, შემდეგ მეორეც და ძლიერი შეტევა წამოიწყო არცთუ საიმედოდ დაცულ თეთრ მეფეზე. ალექსანდრიას ცაიტნოტიც წამოეპარა, დაცვის კარგ გეგმას ვერ მიაგნო და ბოლოს მოფიქრებისათვის განკუთვნილ დროსაც დააცილა. ასევე დროს გადაცილა ხურცილავამ გაფრინდაშვილთან.

არა გვგონია, კობაიძის გადაწყვეტილება — გურიელთან უფიმაცევის დაცვისათვის მიემართა, სწორი ყოფილიყოს, საქმე ის არის, რომ გურიელი ამ დასაწყისის ჩინებულ მკოდნედ ითვლება და პარტიაც დამაჯერებლად წარმართა ნაცნობი „სიცანრით“: გრძელი როქით, მეფის ფრთაზე პირდაპირი ეირმნთა. კობაიძემ შეწყვეტა წინააღმდეგობა, არახმამიან კარო-კანის დაცვის წინააღმდეგ, რომელიც მელაშვილმა აირჩია, ფრიად ეჭვიანურად ითამაშა. იგი არ ერიდებოდა შეწირვებს (ერთ მომენტში ეტლიც კი აკლდა), მაგრამ ბრძოლის გადამწყვეტ უბანზე უპირატესობას მიაღწია და ძლიერი ეირიშით გაიმარჯვა. ლაბინავამ მოუგო სადუნაშვილს, ბოლო ქასაშვილი და ნიკოლაძე ყაიმზე შეთანხმდნენ. ამ ტურნირში არც ერთი პარტია არ გადადებულა.

ორი ტურის შემდეგ შეჯიბრებას ორი ლიდერი ჰყავს. დიდოსტატმა ქეთევან. არახამიამ და საერთაშორისო ოსტატმა ქეთევან კახიანმა ორ-ორი ქულა მოაგროვეს.

გივი გამრეკელი.

ფეხბურთი

მესამე ტური

გუშინწინ კაიმართა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ჯგუფის მესამე ტურის შეხვედრები: თბილისის „იბერია“-გორის „დილა“ — 5:0, „ქუთაისი“-ხობის „კოლხეთი“ — 1:0, „ოზურგეთი“-თბილისის „შევარდენი“— 2:0, სამტრედიის „სანავარდო“-ზუგდიდის „ოდიში“ — 1:1, ლანჩხუთის „გურია“-ოჩამჩირის „ამირანი“ — 2:0, „ბათუმი“-ცხინვალის „ლიახვი“ — 3:0, გალის „მზიური“-რუსთავის „გორდა“ — 2:4, ხაშურის „ივერია“-ფოთის „კოლხეთი“ — 0:2, სოხუმის „ცხუმი“-წყალტუბოს „სამგურალი“ — 1:1.

სამი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გურია“	3	3	0	0	9-0	9
„კოლხეთი“ ფ.	3	3	0	0	7-0	9
„ქუთაისი“	3	3	0	0	6-2	9
„სანავარდო“	3	2	1	0	5-1	7
„ბათუმი“	3	2	1	0	4-0	7
„ოზურგეთი“	3	2	1	0	3-0	7
„კოლხეთი“ ხ.	3	2	0	1	4-2	6
„იბერია“	3	1	1	1	6-2	4
„გორდა“	3	1	1	1	5-4	4
„ივერია“	3	1	0	2	1-3	3
„მზიური“	3	1	0	2	3-8	3
„ცხუმი“	3	0	2	1	2-3	2
„ოდიში“	3	0	2	1	2-3	2
„სამგურალი“	3	0	1	2	2-5	1
„შევარდენი“	3	0	1	2	2-6	1
„დილა“	3	0	1	2	0-6	1
„ამირანი“	3	0	0	3	0-4	0
„ლიახვი“	3	0	0	3	0-12	0

რედაქტორი
მინდია უგრეხელიძე.

ინვალიდთა და მათი გედით
დაინტერესებულ ადამიანთა საყურადღებოდ

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ინვალიდთა ასოციაციის (ლვთის შვილთა კავშირის) პრესცენტრი იუწყება, რომ 18 აპრილს, ოთხშაბათს, 17 საათზე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის შენობაში მოწვეულია ასოციაციის რესპუბლიკური, რეგიონალური და რაიონული ორგანიზების ხელმძღვანელთა საგანგებო თათბირი.

ასოციაციის პრესცენტრი აგრეთვე იუწყება, რომ ასოციაციის საპროგრამო დოკუმენტებისა მეძუშაკვანასთან, საორგანიზაციო და საფინანსო ხასიათის სიძნელეებთან დაკავშირებით, 11 აპრილიდან შეწყდა მოქალაქეთა მიღება.

მოქალაქეთა მიღების განახლების დრო დამატებით გამოცხადდება.

შეგახსენებთ ჩვენი საბანკო ანგარიშის ნომერს: 000700448.

საქართველოს რესპუბლიკური ბინსოცბანკის მთავარი საოპერაციო სამმართველო.

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ინვალიდთა ასოციაცია.

ძეგლი ენისა სწორია!

„მაღალს ციხეში არს ეკლესია“...

დედაქალაქის მკვიდრთ თუ მის სტუმარ-მოყვარეთ კარგად მოეხსენებათ, რომ თბილისის დედაციხეზე (ნარიყალაზე) წლების განმავლობაში მიმდინარეობს ზედა ციხის რესტავრაცია, უკვე კარგად გამოიკვეთა მძლავრი კედელ-ბურჯები. ისტორიული წყაროებით სპეციალისტებისათვის ამთავითვე იყო ცნობილი, რომ „მაღალს ციხეში არს ეკლესია გუმბათიანი წმიდისა ნიკოლაოზისა“. არქეოლოგიურმა კვლევამ ეკლესიის ნანგრევი გამოაჩინა, დედაციხის კომპლექსის რესტავრაციის პროექტის ავტორს არქიტექტორ ტარიელ კიპაროიძეს მიაჩნია, რომ ტაძრის ნანგრევებად დადგება არ შეიძლება, რომ საჭიროა ტაძრის აღდგენა-აშენება. ავტორის ამ მოსაზრებას მხარს უჭერს მრავალი ენთუზიასტი, მათი აზრით, ტაძრის აღდგენით უეჭველად აღდგება მეტეხი-ნარიყალას სილუეტი და ისტორიული გარემოს ერთ-ერთი უმთავრესი ძეგელი.

ალბათ, ამ მოსაზრებას თავისი ოპონენტებიც ეყოლება, რედაქცია უსათუოდ მათაც დაუთმობს ტრიბუნას. რა თქმა უნდა, გულდადინჯებით გადასაწყვეტია, რამდენად მიზანშეწონილია ამ კონკრეტულ პირობებში ძეგლის რესტავრაცია. დღეს გაგაცნობთ ეკლესიის აღდგენა-აშენების იდეის ავტორის ტარიელ კიპაროიძის პოზიციას: განსვაჯოთ, განვიხილოთ. ველით გამოხმაურებას.

მრავალი მწვავე ბრძოლის მომსწრეა თბილისის უძველესი თავდაცვითი ნაგებობა დედაციხე, როგორც დაპყრობასაც ესწრაფოდნენ ხაზართა, არაბთა, მონღოლთა, თურქ-სელჩუკთა, ირანელთა, ოსმალთა და სხვათა და სხვათა ურდოები, არაერთხელ გამხდარა იგი შინაომების ასპარეზიც. შეუვლობა და სიმტკიცე არ აკლდა დედაციხეს, მაგრამ სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო მარცხიც არაერთხელ განუცდია. ისიც უნდა ითქვას, შემოსეულ მტერს რომ მთელი ქალაქი მოეთხარა და მიწასთან გაესწორებინა, თავს გამარჯვებულად არ თვლიდა, მეციხოვნე კი დამარცხებულად, თუ მტერი დედაციხეს ვერ დაიმორჩილებდა. ციხის აღების შემდგომაც ზოგჯერ მტერი ზედა ციხეში კარგა ხნით მოიკალათებდა ხოლმე. უცხო ხელსაც ატყობდა მას და აკნინებდა ყოველივე ეროვნულს. ამგვარი თავგადასავლის მქონე დიდად დაზიანებულმა დედაციხემ აღდგენილ-გადაკეთებული სახით მოაღწია ჩვენამდე, ამიტომ მისი გალავან-ბურჯები, საკულტო, სამეურნეო და სხვა ნაგებობები ძლიერ ჭრელი აღნაგობისაა და მრავალ სამშენებლო ფენას მოიცავს.

ციხესიმაგრეთა მუდმივი აღდგენა-გამაგრება-გადაკეთება ჩვეულებრივი ცხოვრების წესით იყო განპირობებული. რომელი ციხე ეცვეღარ განაახლეს, ზოგ შემთხვევაში თითქმის სრულებით განადგურდა, მაგალითად, თაბორის ციხე ფერიცვალების ეკლესიით, რომელიც მოიხსენიება მატიანეებში, აისახა გრაფიკულ დოკუმენტებში, ჩვენამდე კი უმცირესმა ნაშთმა და ტოპონიმმა მოაღწია მხოლოდ. ვფიქრობთ, აღდგენა-განახლების მემკვიდრეობის მოშლამაც გამოიწვია ის სირთულე, რომ დღემდე არ ვიცით დარიჯელის ციხის, კოშკნი წყალთანის, კოშკნი წყალყინისანის და სხვათა ადგილ-მდებარეობა. ეს თავდაცვითი ნაგებობანი XI საუკუნის საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან ფაქტთან დაკავშირებით მოიხსენიება ქართლის ცხოვრების ფურცლებზე.

დადგა დრო, აღვადგინოთ და დავუბრუნოთ სატაძრო ნაგებობებს თავდაპირველი ფუნქცია, მეტადრე იმ შემთხვევაში, თუ იგი გარემოს მხატვრულ გამომსახველობას გააძლიერებს და ჩვენამდე მოღწეული ნაწილის სრულ დაცვასაც უზრუნველყოფს. ეს იქნება აგრეთვე ერთ-ერთი საშუალება „ცოცხალი ძველი სიწმიდის“ შენარჩუნებისათვის. ასეთ ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება წმიდა ნიკოლაოზის (ასე უწოდებს ბატონიშვილი ვახუშტი) გუმბათოვანი ტაძრის ნანგრევი თბილისის დედაციხეზე.

აღა-მაჰმად-ხანის მიერ 1795 წელს თბილისის დედაციხის დარბევის შემდეგ, იგი, როგორც თავდაცვითი ნაგებობა, თითქმის მიტოვებულია, ნანგრევებად დახვავებული შენობების ნაშთი დროთა ვითარებაში დაიშალა და გაიფანტა, „ინტერიერი“ კი შენობათა ნამსხვრევი ქვა-ღორღით ამოიავსო, უხარმაზარ ბაქნად იქცა. გასულ საუკუნეში იქ სასეირნო პარკიც გამართეს და ჩვენს დროში მჭიდროდ აღმოაცენეს ფიჭვნარი. დედაციხე კარგა ხნით თავის წიაღში ინახავდა წმიდა ნიკოლაოზის ტაძრის ნაშთს.

1966 წელს დედაციხის არქეოლოგიური გათხრის შედეგად /არქეოლოგები გ. ლომთათიძე, ო. ტყეშელაშვილი, ი. გრიელიშვილი და ვ. ართილაყვა/ გამოვლინდა გუმბათოვანი ტაძრის ნანგრევები ბატონიშვილი ვახუშტის მიერ შედგენილი თბილისის გეგმის კვლევის შედეგად, მისი გამოვლინის შესაძლებლობას ვარაუდობდა პროფ. ვ. ბერიძე. არქეოლოგიურმა კვლევამ ვარაუდი დაადასტურა. განათხარი ტაძარი მაშინვე მოხვდა ხელოვნებათმცოდნეთა მეცნიერულ თვალსაწიერში. პროფ. ლ. რჩეულიშვილი ნაშრომში „თბილისის მეტეხის ტაძარი“ შენიშნავდა: „... რომ ეს ტაძარი თანადროულია ჩვენი მეტეხის ტაძრისა და იმდენად ახლო დგას მასთან მთელი რიგი ნიშნებით, რომ შესაძლებელია ორივე ეს ტაძარი ხუროთმოძღვართა ერთი გუნდის მიერ იყოს ნაგები, ან ერთი ხუროთმოძღვრული სკოლიდან გამოსულ ოსტატთა ნახელავს წარმოადგენს“. მეტეხის ღვთისმშობლის და წმ. ნიკოლაოზის ტაძართა საკუთრივ მხატვრული სახე ვერ გაუტოლდება, ვთქვათ, XI საუკუნის განუმეორებელ ძეგლებს. ქალაქმშენებლური თვალსაზრისით კი ტაძართა ერთდროული აგების ფაქტი წარმოადგენს ერთიანი მთლიანი ხუროთმოძღვრული ჩანაფიქრის შემოქმედებით აქტს და, აშკარად, შუა საუკუნეების თბილისის ქალაქმშენებლობის ბრწყინვალე ნიმუშად წარმოგვიდგება. ამ თეზაში ვხედავთ წმიდა ნიკოლაოზის ტაძრის მოცულობითი აღდგენის შესაძლებლობას.

ხუროთმოძღვრული კომპლექსი და მით უფრო ანსამბლი, ხელოვნების რომელიმე სხვა დარგის (ვთქვათ ფერწერულ) ნაწარმოებთა ერთობლიობით შექმნილი ღირებულებისაგან იმითაც განსხვავდება, რომ კომპლექსი ან ანსამბლი ცალკეულ შენობათა მექანიკურ ჯამს კი არ წარმოადგენს, არამედ სივრცობრივი ორგანიზაციის წესს ემყარება. „ხუროთმოძღვრული ანსამბლის წევრები“ „ემორჩილებიან ან იმორჩილებენ“ განაშენიანებას და ქმნიან ხუროთმოძღვრულ-სივრცითს მხატვრულ გარემოს. მათ შორის კანონზომიერი ურთიერთკავშირებია და თითოეული განაშენიანების ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. ამავე დროს რომელიმე ძეგლის ფორმა, მასშტაბი და, ასე ვთქვათ, ზომა-წონაც განისაზღვრება ამ განაშენიანებით. რაიმე ნაგებობის აღმართვა ცვლის ხუროთმოძღვრულ-ლანდშაფტურ-სივრცობრივ გარემოცვას, ძეგლის მოსპობა კი იწვევს ამ გარემოცვის დაკნინება-დაშლას. წმიდა ნიკოლაოზის გუმბათოვანი ტაძრის გაკრობით, დაკნინებულ-დაშლილ, ხუროთმოძღვრულ-სივრცობრივ გარემოდან გვიჩანს, ისედაც შეთხელებულ-შელახული ძველი თბილისი და სრულიად სხვა, ისტორიულად უჩვეულო სივრცობრივ გარემოდაა გარდაქმნილი. XIII საუკუნის წმიდა ნიკოლაოზის გუმბათოვანი ტაძარი კი ზემოქმედებდა ძველი თბილისის ხუროთმოძღვრულ ლანდშაფტურ-სივრცობრივ გარემოცვაზე, ამ სივრცის მაორგანიზებელი იყო. მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, ხოლო მისი ფორმა, მასშტაბი და სხვა განსაზღვრული იყო სწორედ ამ სივრცეთ.

ქალაქმშენებლობის ზემოთ მოყვანილი აქსიომა, ზოგიერთი ძეგლის რესტავრაციის გარკვეული მეთოდის ჩამოყალიბებისათვის ყოველთვის ანგარიშგასაწევია. მეტადრე მაშინ, როცა მონუმენტური ხუროთმოძღვრების ძეგლს მკაფიოდ გამოხატული ქალაქმშენებლური ღირებულება აქვს. ერთი წამით წარმოვიდგინოთ მეტეხის ღვრთისმშობლის ტაძრის გარეშე ძველი თბილისი. რას�კვირველია, ძნელი წარმოსადგენია (ღმერთო, შეგვინდე...), რადგან ფაქტობრივად არარაობად იქცეცა მეტეხის პლატოს განაშენიანება და თვით ძველი თბილისიც. ასევე წარმოუდგენელი იყო ჩვენი წინაპრებისათვის თბილისის დედაციხე სასწაულთმოქმედი წმიდა ნიკოლაოზის ციხეგრგუმბათოვანი ტაძრის გარეშე, რომელიც ხუთასი წელიწადი ამშვენებდა გარემოს და აამებდა სულს. ამიტომაც ვართ ვალდებულნი ესთეტიკური და სულიერი გაღიძვის, მონღოლების ბატონობის მძლავრობის პერიოდს ემთხვევა. ჩვენმა ისტორიკოსებმა და ხელოვნებათმცოდნეებმა ამ ფაქტს სრულად მართებულად ერეკვნული, ზოგად-ისტორიული მნიშვნელობა მიანიჭეს (გ. ლომთათიძე, ო. ტყეშელაშვილი, ი. გრიელიშვილი, ვ. ართილაყვა, ი. ელიზბარაშვილი, დ. თუმანიშვილი, თ. კვირკველია, ი. ციცინაველი).

წმიდა ნიკოლაოზის ტაძრის რეკომპოზიცია მანცდამაინც არ ნიშნავს საკუთრივ ტაძრის რესტავრაციას ძეგლის სტილისტიკური თვალსაზრისით. ან, სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, XIII საუკუნის ტაძრის აგებას XX საუკუნეში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში რეკომპოზიციის მეთოდი ემსახურება ლანდშაფტურ ხუროთმოძღვრული გარემოს ფრაგმენტული რესტავრაციის ამოცანის გადაწყვეტას.

როგორც შ. ბლანი მაზველგონივრულად შენიშნავს, არქიტექტურა ხომ, ამ სიტყვის უმაღლესი გაგებით, უფრო სამკაულია, რომელსაც აგებენ, ვიდრე ნაგებობა, რომელსაც ამკობენ. სწორედ ამ გაგებით, რეკომპოზიციის მეთოდის მომარჯვებით, წმიდა ნიკოლაოზის ტაძრის მოცულობითი ფორმების აღდგენით და შესაბამისად ტაძრის ვერტიკალის აღმართვით, გამოვასწორებთ იმ დიდ დანაკლისს, რომელიც მხატვრული თვალსაზრისითაც მოაკლდა ტფილისის ლანდშაფტურ-ხუროთმოძღვრულ-სივრცობრივ გარემოცვას, აღვადგენთ მის ფუნქციას, და თბილისის გუმბათოვანი ტაძრების ხუროთმოძღვრული მახვილებით შექმნილი სიმფონიის ერთ-ერთ მაღალ რეგისტრს.

ძეგლის რეაბილიტაციას მხარს უჭერს ძეგლთა და ღირსშესანიშნავ ადგილთა რესტავრაციისა და კონსერვაციის საერთაშორისო ქარტია, სადაც, სხვათა შორის, ჩაწერილია: „დამატებანი ძეგლზე ან ღირსშესანიშნავ ადგილზე (გამოწვეული ძეგლის გამოყენებასთან დაკავშირებული აუცილებლობით) დაშვებულია იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ ის იცავს ძეგლის მთლიანობას, კომპოზიციურ წონასწორობას, ტრადიციულ გარემოცვას და გარემოს თანაფარდობას“. (საერთაშორისო ქარტია, მუხლი 13). და იქვე „ტრადიციული ინსამბლის დაცვა და რეაბილიტაცია მიზნად ისახავს ქალაქურ და სოფლურ დასახლებულ ანსამბლებს შეუნარჩუნოს სიცოცხლე და ტრადიციის მემკვიდრეობითობა. ლაპარაკია ანსამბლებზე, რომელთაც აქვთ განსაკუთრებული სამშენებლო და არქიტექტურული ღირებულება, რომლებიც წარმოადგენენ რომელიმე პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ეკონომიკური და კულტურული გარკვეული სტრუქტურის მოწმენი. ამიტომ აუცილებელია მას მივანიჭოთ საზოგადოებისათვის სასარგებლო ფუნქცია, შეთავსებული სტრუქტურასთან და ბუნებასთან, ღირსშესანიშნავ ადგილებთან და შენობებთან, რომელთაგანაც ეს ანსამბლები შედგება“. (საერთაშორისო ქარტია, მუხლი 14).

ზემოთ მოყვანილი მუხლები კი არ ეწინააღმდეგება ჩვენს მოსაზრებას, არამედ კვრის გვიკრავს. რაგინდ ნაკლულადაც უნდა წარმოგვიდგეს აწინდელი ძველი თბილისის განაშენიანება, მეტეხ-დედაციხის სილუეტი საჭიროებს დასრულდეს წმ. ნიკოლაოზის გუმბათოვანი ტაძრის ვერტიკალით, ეს იგივეა როგორც, ვთქვათ, რომელიმე „ნაკლული ძეგლი“ რაიმე ცნობილი ელემენტით საჭიროებდეს ზოგადი ფორმით უცილობელ აღდგენას. ამგვარი რესტავრაციით პატივს მივაგებთ შუა საუკუნეების ქალაქმშენებლური ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე აზრს და „თვალსაჩინოს“, „ხელშესახებს“ გავხდით მას. რეკომპოზიციისათვის უმთავრესი გახლავთ ნაგებობა, ვითარცა გარემოს შემამკობელი, ხოლო ნაგებობის დეკორი — ნაკლებმნიშვნელოვანი. ეს ხერხი თვით ამ კონკრეტული ძეგლის ორაობიან გამომდინარეობს და არ შეიძლება ყველა ძეგლზე გავრცელდეს.

მალე დამთავრდება წმიდა ნიკოლაოზის ტაძრის ნაშთის ნაწილობრივი აღდგენის სამუშაოები, მკითხველს გვინდა ვაუწყოთ — რეკომპოზიციისთვის სამშენებლო მასალად მიზანშეწონილია გამოვიყენოთ აკაურთის კარიერის მოყვითალო, თბილი ფერის, სხვადასხვა ტონალობის მსუბუქი ტუფი, რომელიც აკვარელური ნახატის სიბრტყეებს შექმნის და დეკორის აღდგენის გარეშეც თავისთავად დეკორატიულ შთაბეჭდილებას შეიძენს. ამ ხერხით ჩვენი დროის ნამუშაკევს მკაფიოდ გამოვარჩევთ ტაძრის ძველი ნაწილისაგან. გარდა ამისა, ორიგინალი „დატვირთულია“ ძეგლზე შემორჩენილი დეკორატიული ლილვებით, ჩუქურთმებით, ხოლო ძეგლის რეკომპოზიციის სიბრტყეები სრულიად „შიშველი“ იქნება. ამას დაემატება კედლის საპირე წყობის ქვის ფერი და ფაქტურა.

დადგენილია, რომ იმ დროისათვის არსებობდა ჯვარგუმბათოვანი ტაძრის მოცულობათა ფორმების განმსაზღვრელი ძირითადი კონტურების აგების წესი და რიგი. ეს გასლავთ ეპოქის ძეგლთა ერთ-ერთი მთავარღებელი ნიშანიც. ამ ნიშნით, შიდა სივრცისა და მისი ადეკვატური გარეგნული მასების პროპორციული თანაფარდობის წესის მოხმარება, წმიდა ნიკოლაოზის გუმბათოვანი ტაძრის რეკომპოზიციის პროექტის საფუძველია.

ტარიელ კიპაროიძე,
დედაციხის კომპლექსის რესტავრაციის პროექტის ავტორი, არქიტექტორ-რესტავრატორი.

სურათებზე: დედაციხის ხედი მეტეხიდან — აღდგენილი ტაძრით (ზემოთ); მეტეხისა და დედაციხის პანორამა (შუაში); იგივე პანორამა უტაძროდ (ქვემოთ).

ავტორის რეკომპოზიცია.

ლექციებით ამერიკის შეერთებულ შტატებში

გუშინ ამერიკის შეერთებულ შტატების ქალაქ ბლუმინგტონიდან (ინდიანას შტატი) დაგვირეკა ცნობილმა ამერიკელმა ქართველოლოგმა, პროფესორმა **დოდონა კაზირიამ** და შეგვატყობინა: თვეზე მეტია ამერიკის შეერთებულ შტატებში მივლინებით იმყოფება ცნობილი ქართველი კრიტიკოსი შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი მუშაკი, რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ერთაშორისო ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარე **გიორგი გაჩეჩილაძე.** მან ვაშინგტონსა და ნიუ-იორკის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებსა და უნივერსიტეტებში წაიკითხა ლექციები-მოხსენებები საქართველოში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციისა და ქართული კულტურის პრობლემებს შესახებ.

აღსანიშნავია გიორგი გაჩეჩილაძის გამოსვლები ვაშინგტონის საერთაშორისო-სამეცნიერო ცენტრში ე. წ. კენონის ინსტიტუტში, ნიუ-იორკის საერთაშორისო ურთიერთობის შემსწავლელ ცენტრში (აქ წლეულს იმყოფებოდნენ და ლექციები წაიკითხეს ვ. პრიმაკოვმა, ბ. ელცინმა, ა. ახრომეევმა).

ცენტრში გ. გაჩეჩილაძის მოხსენების თემა იყო „ეთნოკრიზისი კავკასიაში და საქართველოს პრობლემა“. მოხსენების შემდეგ გაძართულ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს მსმენელებმა, რომელთა შორის იყვნენ ცნობილი პოლიტოლოგები, მიმომხილველები, ფინანსისტები, ამერიკული ხელოვნებისა და მეცნიერების წარმომადგენლები.

5 აპრილს გიორგი გაჩეჩილაძემ დაამთავრა ლექციების სერია ინდიანას უნივერსიტეტში. ამჟამად იგი მიწვეულია ჩიკაგოს ჰარვარდის და ჭეინს მეიონის უნივერსიტეტებში.

გარდა ლექციების კითხვისა, გ. გაჩეჩილაძემ ამერიკის ბიბლიოთეკებში მიაკვლია და მოიპოვა არაერთი უნიკალური მასალა დიდად ფასეული ქართული კულტურისათვის.

ორშაბათი

16 აპრილი

პირველი პროგრამა. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — მოსწავლეთათვის. რუსული ენა. 16.30 — ქართული დოკუმენტური ფილმები „ძველი ოსტატობის საიდუმლო“ და „კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის“. 17.10 — მოსწავლეთათვის. საქართველოს ისტორია. 17.40 — „წყაროსთვალი“. სატელევიზიო ჟურნალი უმცროსკლასელთათვის. 18.25 — განცხადებები. 18.30 — ახალგაზრდობისათვის. „საქმიანი კონტაქტები“. 19.00 — „ფრანგი მორგებები თბილისში“. 20.00 — მოამბე. 20.35 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 21.00 — სკკპ XXVIII ყრილობის შესახებ ფილმი. „პარტია და გარდაქმნა“. 22.00 — „ვრემია“. 22.30 — „შეხვედრა საქართველოს სახალხო არტისტთან ალ. ხომერიკთან“.

მეორე პროგრამა. 15.05 — ფილმ-სპექტაკლი „ირკუტსკული ამბავი“. 17.15 — ქართული მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმები. 17.55 — დოკუმენტური ფილმი „პავლე ფილონიკი“ (პირველი ჩვენება.) 19.20 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.35 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „უცხო თამამშობანი“.

სამშაბათი

17 აპრილი

პირველი პროგრამა. 12.30 — საბავშვო ბაღების აღსაზრდელთათვის. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — ათლეტიზმი. 14.10 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 15.45 — საინფორმაციო გამოშვება. 15.55 — ქართული ენის ტელეკურსი. 16.25 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე (გამეორება). 16.50 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 17.20 — დოკუმენტური ფილმი „მოთხრობა ტერეზინზე“ (პირველი ჩვენება). 17.50 — მოსწავლეთათვის. „მხიარული შეჯიბრება“. 18.40 — განცხადებები. 18.45 — როგორი კოოპერატივები გვჭირდება? 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — რეკლამა... რეკლამა... 20.45 — „მსოფლიოს გამოჩენილი პიანისტები“. 22.00 — „ვრემია“. 22.30 — საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში.

მეორე პროგრამა. 15.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სოფლის ცეკვები“. 15.55 — სატელევიზიო დადგმა „დრამა ნადირობისას“. 18.15 — მოსწავლეთათვის. საზოგადოებათმცოდნეობა. 19.00 — მოკლემეტრაჟიანი ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ეფემერა“. 19.15 — მასწავლებლის საათი. ქართული ლიტერატურა. 20.00 — მოამბე. 20.35 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „ხვედრის ცვლილება“.

ოთხშაბათი

18 აპრილი

პირველი პროგრამა. 12.30 — საბავშვო ბაღების აღსაზრდელთათვის. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — ეკონომიკის კურსი. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — მათემატიკის ტელეკურსი. 16.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვეულებრივი სასნაულები“. 17.10 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 17.40 — მოსწავლეთათვის. „ჩვენი თეატრი“. 18.45 — განცხადებები. 18.50 — რეკლამა... რეკლამა... 19.10 — „პარალელი“. 20.00 — მოამბე. 20.35 — ხალხური შემოქმედება. „მხარი გაშალა ჯეჯილმა“. 20.55 — „დაბრუნებული სახელები“. შალვა ცქიტიშვილი. 21.30 — კონცერტი. 22.00 — „ვრემია“. 22.30 — „საკონცერტო დარბაზებში“. უკრავს ე. ბოლქვაძე. 23.40 — საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში.

მეორე პროგრამა. 16.05 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „იმედის ქოხები“. 17.05 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „საიდუმლოებათა საიდუმლო“. 18.05 — მოსწავლეთათვის. მათემატიკა. 18.50 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 19.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბავშვების ცხოვრებიდან“. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „მარია მედიჩის ზარდახშა“ (ქართულ ენაზე).

საქართველოს ტელევიზიის მომავალი კვირის პროგრამა

ხუთშაბათი

19 აპრილი

პირველი პროგრამა. 12.30 — საბავშვო ბაღების აღსაზრდელთათვის. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — ათლეტიზმი. 14.10 — მასწავლებლის საათი. ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძველი. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — აბიტურიენტთათვის. ბიოლოგია. 16.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „36 სიხარული“. 17.30 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 18.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გარდაქმნის პლაკატები“. 18.10 — ქართული ლიტერატურის ისტორია. 18.35 — განცხადებები. 18.40 — მოსწავლეთათვის. შეხვედრა მწერალთან. ლ. ერაძე. 19.10 — ხალხური შემოქმედება. მღერის ანსამბლი „გურია“. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ხსოვნა“. I სერია. 21.40 — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხდომა. 22.00 — „ვრემია“. 22.30 — „საღამო მშვიდობისა!“. მუსიკალურ-საინფორმაციო პროგრამა.

მეორე პროგრამა. 15.05 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მატეო ფალკონე“. 15.30 — დოკუმენტური ფილმი „ნიკოლოზ რერიხი“. 16.30 — მხატვრული ფილმი „გაზაფხული ზარეჩნაიას ქუჩაზე“. 18.00 — მასწავლებლის საათი. რუსული ენა. 18.45 — ქართული მხატვრული ფილმი „მაცივარში ვიღაც იჯდა“. 20.00 — მოამბე. 20.35 — სატელევიზიო დადგმა „შენს ზღურბლთან“.

პარასკევი

20 აპრილი

პირველი პროგრამა. 12.30 — საბავშვო ბაღების აღსაზრდელთათვის. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — ფიზიკის ტელეკურსი. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 16.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ტკივილი“. 17.10 — კინოჟურნალი „ერალაში“. 17.20 — უფროსკლასელთათვის. საქართველოს ისტორია. 17.50 — კინოჟურნალი. 18.00 —